ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5858140

ნომერი: AR1886181

თარიღი : 14.03.2022

გაცემის თარიღი : 21.03.2022

გაცნობის თარიღი : 21.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, N 13ვ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლერი მსხვილიძე პ/ნ 09001002090
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 111 კორ. 3 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 14 მარტს №AR1886181 განცხადებით მომართა ლერი მსხვილიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 დეკემბრის №4321503 ბრძანებით, №01.13.02.006.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტის - მრავალპროფილური კლინიკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 27 დეკემბრიდან 2021 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 27 დეკემბრის №4321503 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 14 იანვრიდან 2023 წლის 14 მაისის ჩათვლით. განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2024 წლის 14 იანვრის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირდა „2023 წლის 14 მაისის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 დეკემბრის №AR1867786 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილ იქნა 16 (თექვსმეტი) თვეზე (აღნიშნული ვადა მითითებულია მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის პირველ გვერდზე, სადაც სამუშაოები განსაზღვრულია 14 პუნქტად და ბოლო 4 პუნქტის სამუშაოები სრულდება მე-16 თვეს). ამასთან მხოლოდ პირველი გვერდია ხელმოწერილი. გარდა ამისა, პირველი და მეორე გვერდი ერთმანეთს არ ემთხვევა (მეორე გვერდი არ არის პირველის გაგრძელება. მეორე გვერდი წარმოადგენს 2018 წლის 27 დეკემბრის №4321503 ბრძანებით შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის მეორე გვერდის იდენტურ გვერდს. თუმცა, აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობა იწყებოდა მოსამზადებელი სამუშაოებით, ხოლო 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანების გაცემის დროისთვის შენობის კონსტრუქციული ნაწილის ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებული იყო. შესაბამისად, აღნიშნული კალენდარული გრაფიკების მეორე გვერდები იდენტური ვერ იქნება). აქვე გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე მშენებლობის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 14 მაისის ჩათვლით. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მშენებლობის ვადის გასაგრძელებლად სამსახურს უნდა მომართოთ მშენებლობის ვადის გასვლამდე და წარმოადგინოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანებაში მშენებლობის ვადა სწორად არის დაფიქსირებული, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2022 წლის 14 იანვრის №5762424 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.